ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1460062

ნომერი: AR1248042

თარიღი : 02.09.2014

გაცემის თარიღი : 03.09.2014

გაცნობის თარიღი : 15.09.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა თიანეთი , N 95 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- უჩეჩუკვუ უვაკვე პ/ნ 01024070186
- ქ.თბილისი, თიანეთის ქუჩა #95

ორგანიზაცია:

- შპს იუსი ბესტი კოდი: 200269468

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

თქვენი AR1248042 განაცხადის პასუხად რომლითაც ითხოვთ სამსახურის #1193365 (01.29.2014) გადაწყვეტილებით დადგენილ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასაფიქსირებლად, გაცნობებთ შემდეგს:
რადგან აღნიშნული ქალაქთმშენებლობითი პირობების საფუძველზე არ არის შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი, უმჯობესია განხორციელდეს აღნიშნული დოკუმენტის გაუქმება და ახალი მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.
დამატებით გაცნობებთ, რომ რადგან საპროექტო ტერიტორიაზე ქ. თბილისის მერის #3365 (07.12.2012) წლის განკარგულებით მომატებულია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=2,5. საპროექტო ობიექტის ფუნქცია უნდა შეარჩიოთ განკარგულებაში მითითებული სახეობების გათვალისწინებით: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი კომერციული ფართით.

რასთან დაკავშირებით ამავე განაცხადზე უნდა შეცვალოთ ნომენკლატურა, მოთხოვნის ტექსტისთვის გამოყოფილ ველში ზუსტად მიუთითეთ, ტერიტორიაზე დასაგეგმარეობელი ობიექტის სახეობა, მოითხოვოთ არსებული გაპის გაუქმება და ახალი გაპის დასადგენად აირჩიოთ: მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები > მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

შენიშვნა: ნომენკლატურის შეცვლა შეგიძლიათ ამავე განაცხადის გვერდზე;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.